

დამტკიცებულია ცვლილებებით სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ
(აკადემიური საბჭოს დადგენილება № 05/01- 351, 17.07.2017)

1. სადოქტორო პროგრამის დასახელება – საქართველოს ისტორია
2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი – ისტორიის დოქტორი
3. პროგრამის მოცულობა კრედიტებით – 180 ECTS
4. სწავლების ენა – ქართული
5. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი – სრული პროფესორი ზურაბ პაპასქირი

6. სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები

- მაგისტრის ხარისხი, ან მასთან გათანაბრებული ერთსაფეხურიანი სწავლების დიპლომი ისტორიაში, აგრეთვე ნებისმიერი ხარისხის მქონე ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში;
- დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ერთ-ერთი ევროპული ენის (ინგლისური, გერმანული ან ფრანგული, რუსული) არანაკლებ B-2 დონეზე ცოდნა. სერტიფიკატის არქონის შემთხვევაში კონკურსანტი აბარებს გამოცდას;
- დოქტორანტობის კანდიდატი გასაუბრებას გადის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დარგობრივ კომისიასთან, რომელიც იქმნება ფაკულტეტის წარდგინებით რექტორის მიერ გამოცემული აქტის საფუძველზე /იხ. საკითხები უნივერსიტეტის ვებგვერდზე/

- უცხო ენის გამოცდის ჩაბარებისა და გასაუბრების გავლის შემდეგ დოქტორანტურაში მიმღები საფაკულტეტო კომისიის დასკვნის საფუძველზე დეკანის წარდგინებით უნივერსიტეტის რექტორი გამოსცემს კანდიდატის დოქტორანტად ჩარიცხვის შესახებ ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს.

7. პროგრამის მიზანი

- საქართველო ერთ-ერთი უძველესი ცივილიზაციის ქვეყანაა, სადაც მიმდინარეობდა ანთროპოგენეზის პროცესი. დაწყებული ქვედა პალეოლითიდან XXI საუკუნის დამდეგამდე საქართველოს ტერიტორია მუდმივად იყო ადამიანთა საზოგადოების აქტიური შრომითი საქმიანობის ზონა. მოხერხებულმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ საქართველო იმთავითვე მოაქცია მსოფლიო მოვლენების ორბიტაში. ის ადრიდანვე ეცნობოდა კაცობრიობის მიღწევებს, მაგრამ, ამასთან, მას თავს ატყდებოდა სხვადასხვა ეპოქაში მიმდინარე გლობალური კატაკლიზმებიც. საქართველო არის უძველესი სამიწათმოქმედო კულტურის ქვეყანა. ქართველთა წინაპრები ერთ-ერთი პირველნი მსოფლიო ხალხებს შორის ეზიარნენ მეტალურგიას. მაგრამ ქართველი ერის ყველაზე დიდი ისტორიული მონაპოვარი მაინც ეროვნული სახელმწიფოებრიობაა, რომელიც, სულ მცირე, 3000 წელს ითვლის. შუა საუკუნეებში საქართველომ შექმნა მოწინავე ქრისტიანული ცივილიზაცია, რომელმაც კაცობრიობის კულტურის საგანძური გაამდიდრა არაერთი მსოფლიო მნიშვნელობის ლიტერატურული შედეგით, უბრწყინვალესი ხუროთმოძღვრული შედეგებითა და მეცნიერებისა და ხელოვნების სხვა უნიკალური მიღწევებით. ბუნებრივია, მრავალსაუკუნოვანი ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორია მრავალ დაფარულ და გამოუცნობ ისტორიულ მოვლენას იცნობს, რომლის შესწავლა მომავალი ისტორიკოსებისა და ქართველოლოგების ვალია.
- საქართველოს ისტორია არის მშობლიური ქვეყნის ისტორია, უფრო მეტიც, ის **ქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების ქვაკუთხედეა, რომლის შესწავლა-დაუფლებას ყოველთვის ჰქონდა არამარტო შემეცნებითი, არამედ დიდი ეროვნულ-პატრიოტული დატვირთვა.** საქართველოს სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის თანამედროვე ეტაპზე მშობლიური ისტორიის ეს ფუნქცია კიდევ უფრო მეტ აქტუალობას იძენს. აქედან გამომდინარე, საქართველოს ისტორიული წარსულის შესახებ არსებული მეცნიერული ცოდნის დაუფლება-ათვისება ქართული საუნივერსიტეტო განათლების ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად უნდა ჩაითვალოს. **დღეს, ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარების ახალ ეტაპზე, გაჩნდა შესაძლებლობები, ისტორიოგრაფია ახალ სიმაღლეზე ავიყვანოთ, ჩამოვაშოროთ მას ის იდეოლოგიური საფარველი, რომელიც საბჭოთა ეპოქაში ჰქონდა.** საქართველოს ისტორიის მრავალი ფურცელი ახლებურად უნდა გავაიზროთ, რაშიც უნდა დაგვეხმაროს ახალი სადოქტორო პროგრამა.

კვლევის პრიორიტეტულ მიმართულებად უნდა ავილოთ ის თემები, რომელთა დამუშავება საბჭოთა პერიოდში ტაბუდადებული იყო, ან ქართველ მკვლევარებს ხელი არ მიუწვდებოდათ. აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის ისტორიის პრობლემები, 1918-21 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორია, ქართული ეკლესიის ისტორია, ანტიბოლშევიკური და ანტისაბჭოთა აჯანყებები და მოძრაობა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდენისათვის და ა. შ.

8. სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება - საქართველოს ისტორიასა და მის შემსწავლელ ისტორიულ დისციპლინებში უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა იძლევა არსებული ცოდნის გაფართოებისა და ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას რეფერირებადი, პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე. პროგრამა ხელს უწყობს არსებული ცოდნის ხელახალი გააზრებისა და ნაწილობრივ გადაფასების გზით ცოდნის განახლებული ფარგლების გაცნობიერებას. დოქტორანტურის სასწავლო პროგრამის დასრულებისა და სადოქტორო ნაშრომის დაცვის შედეგად კურსდამთავრებული სრულად დაეუფლება სიღრმისეულ თეორიულ ცოდნას და კვლევით მეთოდებს საქართველოს ისტორიაში. დოქტორანტურაში სწავლის პროცესში მიღებული ცოდნის, კვალიფიკაციისა და კომპეტენციის გამოყენებით კურსდამთავრებული დამოუკიდებლად შეძლებს საისტორიო წყაროებისა და სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავებასა და გააზრებას; მიღებული ცოდნა და გამოცდილება მისცემს მას საშუალებას, იმუშაოს შესაბამის დარგში რეფერირებად საერთაშორისო პუბლიკაციებისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - კურსდამთავრებულს შეუძლია ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა, განხორციელება და ზედამხედველობა; ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომების შემუშავება, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებული და აისახება საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში; დოქტორანტურის კურსდამთავრებულს შეუძლია ინოვაციური კვლევების დამოუკიდებლად დაგეგმვა და განხორციელება; გამოუმუშავებული აქვს ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მიდგომები; თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებებისა და უახლესი ინტერდისციპლინარული მეთოდების გამოყენებით უახლესი საისტორიო მასალის გამოყენების უნარი. ზემოაღნიშნული აისახება ლიტერატურის დარგში რეფერირებად საერთაშორისო პუბლიკაციებში.

დასკვნის უნარი - საქართველოს ისტორიის სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულმა შეუძლია ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება, რითაც ხდება ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება-განვითარების ხელშეწყობა; პრობლემის გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება; შეძენილი ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე დოქტორანტურის კურსდამთავრებულს შეუძლია შესწავლილი მასალების გამოწვლილვითი ანალიზი და არგუმენტირებული დასკვნების გაკეთება.

კომუნიკაციის უნარი - ისტორიის დოქტორს შეუძლია ახალი ცოდნის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენა, ასევე საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვა ერთ-ერთ უცხოურ ენაზე. დოქტორანტურის კურსდამთავრებულს შეუძლია ინფორმაციის სწორად, ეფექტურად მიწოდება როგორც სპეციალისტების, ასევე არასპეციალისტებისათვის; მასალის წერილობითი და ზეპირი პრეზენტაცია, საკამათო საკითხებზე დისკუსიის, თანმიმდევრული და ლოგიკური არგუმენტების საშუალებით მკაფიოდ და კორექტულად კამათი. მას ასევე შეუძლია ინტერნეტ-რესურსების გამოყენება, აგრეთვე კომუნიკაცია ერთ-ერთ უცხო ენაზე (**B-2** დონე).

სწავლის უნარი - კურსდამთავრებულს შეუძლია უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე ახალი იდეების ან პროცესების განვითარების მზაობა სწავლისა და საქმიანობის, მათ შორის კვლევის პროცესში. პროგრამის დასრულების შემდეგ დოქტორანტურის კურსდამთავრებული შეიძენს სისტემურ უნარებს, რაც მდგომარეობს სხვების სწავლის, ახალ სიტუაციაში ადაპტირების, ავტონომიურად და ჯგუფურად მუშაობისა და მართვის უნარებში.

ღირებულებები - კურსდამთავრებულს შეუძლია ღირებულებათა დამკვიდრების გზების კვლევა და მათ დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შემუშავება. სადოქტორო პროგრამის შესრულების ფარგლებში საგანგებო ყურადღება მიექცევა მეცნიერული საქმიანობის ღირებულებით ასპექტებს. კერძოდ, ოპონირების მაღალი კულტურის, პირველ რიგში, კოლეგების განსხვავებული აზრისადმი პატივისცემის უნარის გამომუშავებას; ზოგადად მეცნიერული საქმიანობის ღირებულებათა გავრცელებისათვის ხელშემწყობი ინოვაციური მეთოდების დანერგვა-დამკვიდრებას.

9. სადოქტორო პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები.

საქართველოს ისტორიის სადოქტორო პროგრამას ხელმძღვანელობს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ზურაბ პაპასქირი**. სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს ა(ა)იპ – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის მიმართულებისა და შესაბამისი ქვემიმართულებების როგორც ძირითადი, ასევე მოწვეული აკადემიური პერსონალი, რომელთაც აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად გააჩნიათ შესაბამისი საბაზო განათლება, აკადემიური ხარისხი, აკადემიური თანამდებობა და კომპეტენციები იმ სასწავლო კურსებში, რომელთა სწავლა/სწავლებასაც განხორციელებენ. აქვთ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, ან ისტორიის დოქტორის ხარისხი (საქართველოს ისტორიის, მსოფლიო ისტორიის, წყაროთმცოდნეობა ისტორიოგრაფიის და ა.შ.) შესაბამისი მიმართულებით, პროფესიული გამოცდილება (პედაგოგიური და სამეცნიერო) და ბოლო 10 წლის სამეცნიერო პუბლიკაციები სპეციალობის შესაბამისად. სრული პროფესორი: **ზურაბ პაპასქირი**; ასოცირებული პროფესორები: **ლია ახალაძე, ჯამბულ ანჩაბაძე, ავთანდილ კილასონია, ბეჟან ხორავა**; მოწვეული პროფესორები: **მანანა ტაბიძე; ლეონიდე ჯახაია, ლელა რეხვიაშვილი**.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს საქართველოს ისტორიის სადოქტორო პროგრამის განხორციელებისათვის გააჩნია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (სააუდიტორიო ფონდი, კომპიუტერული კლასები, ბიბლიოთეკის დარბაზი და სხვა რესურსები), რომელიც უზრუნველყოფს ყველა სახის პრაქტიკულ და თეორიულ მომზადებასა და სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სამეცნიერო მუშაობას. ძირითადი საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია აუცილებელი სასწავლო-მეთოდური მასალებით: შესაბამისი საბიბლიოთეკო ფონდებით (წიგნადი, ციფრული); სახელმძღვანელოებით, მონოგრაფიებით, ნაშრომების კრებულებით საერთაშორისო ურთიერთობების აქტუალურ საკითხებზე, პროფესიული და რეფერატული ჟურნალებით, ბიბლიოგრაფიული ცნობარებით საერთაშორისო ურთიერთობების სხვადასხვა პრობლემებზე; ინტერნეტ-რესურსებითა და სხვა საინფორმაციო მასალებით. სადოქტორო ნაშრომზე მუშაობის პროცესში გამოყენებული იქნება საქართველოში არსებული სხვადასხვა ქართვე-

ლოლოგიური ცენტრების, მათ შორის, ცენტრალური სამეცნიერო არქივის, საჯარო ბიბლიოთეკის, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის და ა. შ. ფონდები, რომლებიც ხელმისაწვდომია, საჯარო და ღია მეცნიერთათვის.

ყველა დოქტორანტისათვის ხელმისაწვდომია: საბიბლიოთეკო ფონდები; მონაცემთა ბაზები, რომლებიც შინაარსობრივად შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსებს/მოდულებს; მეთოდური დამხმარე სახელმძღვანელოები და რეკომენდაციები ყველა სასწავლო დისციპლინასა და დარგობრივ მიმართულებაში; სადოქტორო ნაშრომის შესრულებისათვის საჭირო მასალები.

ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე სადოქტორო პროგრამაზე შესაძლებელია 10-15 დოქტორანტამდე მიღება.

10. კვლევითი კომპონენტი

დოქტორანტის მომზადებაში უმთავრესია სადისერტაციო ნაშრომი, რომელზეც მუშაობა მიმდინარეობს სწავლების მთელ მანძილზე. სადისერტაციო ნაშრომი იქნება მონოგრაფიული ხასიათის დასრულებული მეცნიერული გამოკვლევა, რომელიც აუცილებლად უნდა შეიცავდეს მეცნიერულ სიახლეს და წარმოადგენდეს წინადადებულ ნაბიჯს შესასწავლი პრობლემის შემდგომ კვლევაში. *(დაწვრილებით იხ. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი)*. დოქტორანტურა დასრულებულად ჩაითვლება, თუ დოქტორანტი აითვისებს სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ყველა კრედიტს და წარადგენს დასაცავად სადოქტორო დისერტაციას.

ძირითადი მიმართულებები, რომლის ფარგლებში დოქტორანტს შეეძლება სადოქტორო დისერტაციის თემის შერჩევა:

- შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის წერილობითი ძეგლების წყაროთმცოდნეობითი პრობლემები;
- საქართველოს ისტორიის გამოჩენილ მკვლევართა ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობა;
- შუა საუკუნეების ხანის საქართველოს საგარეო პოლიტიკური ისტორიის აქტუალური პრობლემები;
- XIX-XX საუკუნეების საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ისტორიის პრობლემები;
- საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის აქტუალური პრობლემები;
- საქართველოს რეგიონების, ქალაქებისა და სოფლების ისტორია.

იქიდან გამომდინარე, რომ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის მეცნიერული აფხაზეთმცოდნეობის წამყვანი ცენტრი, საგანგებოდ იქნება ყურადღება გამახვილებული საქართველოს რეგიონების, პირველ რიგში, აფხაზეთის ისტორიის პრობლემების მეცნიერულ შესწავლაზე.

11. პროგრამის სტრუქტურა

#	სასწავლო კურსი/ მოდული	კოდი	ECTS	საათების რაოდენობა		კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით						ლექტორი	
				საკონტაქტო	დამოუკიდებელი	I	II	III	IV	V	VI		
სასწავლო კომპონენტი – 60 კრედიტი													
1.	სწავლების თანამედროვე მეთოდები	EDUC D 301	6	35	115	6							<i>ჯემალ ჯინჯიბაძე</i> განათლების მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი; ლელა რეხვიაშვილი , განათლების დოქტორი
2.	აკადემიური წერა კვლევის მეთოდების კომპონენტებით	ACAD D 301	6	35	115	6							
3.	პროფესორის ასისტენტობა	HIST D 301	3	20	55		3						
4.	სემინარი – 1	HIST D 302	3	20	55		3						
5.	სემინარი – 2	HIST D 303	3	20	55			3					
დარგობრივი სავალდებულო სასწავლო კურსები - 30 კრედიტი													
6.	საქართველოს ისტორიის ძირითადი პრობლემები უძველესი დროიდან XIIIს. დამდეგის ჩათვლით. ისტორიოგრაფიულ ჭრილში	HIST D 304	6	35	115	6							ზურაბ პაპასქირი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, სსუ სრული პროფესორი
7.	საქართველოს ისტორიის ძირითადი პრობლემები XIII-XVIII საუკუნეები. ისტორიოგრაფიულ ჭრილში	HIST D 305	6	35	115		6						ბეჟან ხორავა ისტორიის დოქტორი, სსუ ასოც. პროფესორი
8.	საქართველოს ისტორიის ძირითადი პრობლემები. XIX-XXI ს. დამდეგი	HIST D 306	6	35	115		6						ჯამბულ ანჩაბაძე ისტორიის დოქტორი,

